

გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის კვლევა განსხვავებულ  
კულტურულ კონტექსტში

(ადრეული მოზარდობის ხანა)

საბინა ჯაფაროვა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხისმინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ჯაფარიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## აბსტრაქტი

საქართველო არის კულტურული მრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყანა, სადაც ქართველების გარდა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებიც ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, კროს-კულტურული ფსიქოლოგიური კვლევები საინტერესოდ მიგვაჩნია. სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება გარდნერის „მრავალმხრივ ინტელექტის“ კულტურით განპირობებულობის საკითხის კვლევას. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებში მრავალმხრივი ინტელექტის ტიპების გამოვლენა და მისი ეთნიკურად ქართველ მოსწავლეებთან შედარება წარმოადგენს. გარდა ამისა, ვიკვლიეთ: ა) ორ განსხვავებულ ეთნოჯგუფებში გენდერული სხვაობა; ბ) არის თუ არა განსხვავება რეგიონსა და თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსწავლეებს შორის, გ) არსებობს თუ არა კავშირი ინტელექტის სახეებსა და მათ შესაბამის საგანში აკადემიურ მიღწევას შორის.

კვლევისას გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. გამოიკითხა ქ. თბილისის და მარნეულის რაიონის საჯარო სკოლების (5-6 კლასების) 208 მოსწავლე. მრავალმხრივი ინტელექტის პროფილის გამოსავლენად გამოყენებული იქნა კონელის მრავალმხრივი ინტელექტის საბავშვო კითხვარი (J. Diane Connell. Multiple Intelligence Questionnaire for Children). აკადემიური მიღწევის დასადგენად დაითვალასხვადასხვა საგნებში მიღებული ქულების საშუალოები.

კვლევის შედეგად ემპირიულად დადასტურდა გარდნერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კულტურა გარკვეულწილად განსაზღვრავს, ხელს უწყობს ინტელექტის სხვადასხვა ტიპის განვითარებას. ასევე, გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებები როგორც ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის, ასევე თითოეულ ეთნიკურ ჯგუფში. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა გამოვლინდა რეგიონსა და თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსწავლეებს შორისაც. დადგინდა

კავშირი ინტელექტის ტიპებსა და მათ შესაბამის საგნებში აკადემიურ მიღწევებს შორის.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ინტელექტი, მრავალმხრივი ინტელექტი, კულტურა, აკულტურაცია, გენდერი.

## Abstract

Georgia is ethnically diverse state, where apart from Georgians live different ethnic groups. Hence, we think that cross-cultural psychological studies are interesting. Master's thesis is dedicated to investigate the issue of conditionality of Gardner's "Multiple Intelligences" with culture. Consequently, the main purpose of this research is to identify types of multiple intelligences in ethnically Azerbaijani school students and compare them with ethnically Georgian school students. Besides, we have investigated: a) gender differences in two different ethnic groups; b) are there a difference between Azerbaijani students living in city and region; c) is there a connection between multiple intelligences and academic achievement.

Quantitative research method was used in the study. The data was collected using Multiple Intelligence Questionnaire for Children from 208 school students from different public schools in Tbilisi and around of Marneuli region.

As a result of the study, Gardner's opinion that culture to some extent determines, promotes the development of different types of intelligence was empirically proved. Also, statistically significant gender differences were identified between two ethnic groups, as well as in each ethnic group. Likewise a statistically significant difference was detected between school students living in Tbilisi and Marneuli region. It was established the connection between multiple intelligences and academic achievement.

**Keywords: intelligence, multiple intelligences, culture, acculturation, gender.**